ლიზი მეგრელიშვილი,

კავკასიის არქიტექტურის და დიზაინის სკოლა

,,სკოლის პერიოდიდან მოყოლებული ვოცნებობდი უცხოეთში სწავლაზე. კავკასიის უნივერსიტეტიც მეტწილად მისი მრავალფეროვანი გაცვლითი პროგრამების გამო ავირჩიე.

როგორც კი შესაძლებლობა მომეცა, დავიწყე აპლიკაციის მომზადება ბილატერალური გაცვლითი პროგრამისთვის. მიუხედავად იმისა, რომ საჭირო დოკუმენტების სია დიდი იყო, უნივერსიტეტის თანამშრომლები თითოეულ ნაბიჯზე წარმოუდგენლად დამეხმარნენ. საბოლოოდ, როცა გავიგე, რომ მე ამირჩიეს და პოლონეთში გავემგზავრებოდი ერთი სემესტრით სიხარულისგან რა გამეკეთებინა არ ვიცოდი.

ყველას ვურჩევ რომ შეავსოს აპლიკაცია. საზღვარგარეთ ცხოვრება, გზრდის პიროვნულად ისე, როგორც ეს შინ ყოფნით შეუძლებელია, განსაკუთრებით საქართველოში, სადაც მშობლების სახლიდან გადასვლის კულტურა ნაკლებად არის გავრცელებული.

ჩემი იქ ყოფნის პერიოდში, დავუმეგობრდი ბავშვებს პოლონეთიდან, ესპანეთიდან, საფრანგეთიდან, პორტუგალიიდან და სხვა მრავალი ქვეყნიდან, რომლებთანაც დღესაც მაქვს ყოველდღიური კონტაქტი. ახლა ვიცი, რომ სადაც არ უნდა წავიდე იმ ქვეყანაში მეგობარი მყავს.

ძალიან კმაყოფილი ვარ აკადემიური გამოცდილებითაც. ყველა ქვეყანას განსხვავებული განათლების სისტემა აქვს, ასევე იმ კონკრეტული ფაკულტეტისადმი სადაც სწავლობ, ამიტომ პოლონეთში ისეთი ცოდნა შევიძინე, რომელსაც საქართველოში ვერ შევიძენდი. ამან ჩემი პროფესია - არქიტექტურა ახალი კუთხით დამანახა.

პოლონეთი თავისთავად არის ლამაზი და კულტურულად მნიშვნელოვანი ქვეყანა, სადაც არასდროს მოიწყენ და ყოველთვის რაღაც ახალი გექნება აღმოსაჩენი.

მადლიერი ვარ კავკასიის უნივერსიტეტის, რომ მომცა ეს შესაძლებლობა. ეს გამოცდილება ჩემთან სამუდამოდ დარჩება.''